ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4622314

ნომერი: AR1698483

თარიღი : 02.08.2019

გაცემის თარიღი : 07.08.2019

გაცნობის თარიღი : 07.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N1-ის მიმდებარედ , (ნაკვ. 03/029);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ქურიძე პ/ნ 01017007533
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - პავილიონი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 02 აგვისტოს AR1698483 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.19.14.003.158 მიწის ნაკვეთზე სავაჭრო პავილიონის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების სქემა, ვინაიდან უშუალოდ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გადის ხაზოვანი ნაგებობა, მილსადენი ს/კ N 01.01.834 მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს მიერ გაცემული თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან დაკავშირებით როგორც წერილობითი ასევე დამოწმებული გრაფიკული მასალა შენობა-ნაგებობასთან მიმართებაში.
.საინფორმაციო დაფა - ბანერი. - > წარმოდგენილ იქნას შესაბამისი საინფორმაციო დაფა-ბანერი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 40-ე მუხლის შესაბამისად.

- საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად წარმოადგინეთ განახლებული ბანერი სადაც დატანილ იქნება ფუნქციაში პავილიონი და არა პავილიონები, განახლებული განხივლის ვადები და სართულიანობა შპს "ტავ ურბან საქართველოს“- მიერ მითითებული რეკომენდაციის შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე.
აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2019 წლის 02 აგვისტოს AR1698483, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.